წ. I 1915 წ. პარასკევი 10 აპრილი

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე — 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 53 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 53


„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილთ, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

---

12 აპრილს სოფ. ახალ-ჭალის თ. გელოვანების საგვარეულო ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სახელმწიფო სათათბიროს წევრის

### თ-დ ვარლამ ლევანის ძის გელოვანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ განსვენებულის ჭირისუფალნი: მეუღლე ნინო გიორგის ასული, ძმები კოსტანტინე და პლატონი და ბიძა ერმილო გოჯასპირის ძე გელოვანები.

2—1

---

8 აპრილს სოფ. ზოვრეთში (შორაპ. მაზრ.) მძიმე და ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოლკოვნიკი

### ივანე ქაიხოსროს ძე ქავთარაძე,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები მიცვალებულისა: პავლე, პეტრე, სერგია, მარიამი, ნატალია, ელისაბედი, რძლები: ემილია ვლადიმერის ასული ანნა ილარიონის ასული ქავთარაძეები. და სიძე თავადი იასონ ნიკოლოზის ძე ნიჟარაძე თავისი ასულით სოფიოთი. დასაფლავება კვირას, 12 აპრილს, განსაკუთრებითი დაპატიჟება არ იქნება.

3—1—157.

---

ორჯერ ზედიზედ ახალი პიესა.

ქუთაისის თეატრი.

ქართველ მსახ. ამხანაგობის მიერ, შაბათს, 11 და კვირას, 12 აპრილს, წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი პიესა სობოლჩიკოვ-სამარინისა

## იუდა ისკარიოტელი

(იუდას მემკვიდრე)

5 მოქ. თარგ. კონსტან-ანდრონისა.

ეს პიესა დაიდგა რუსეთის საუკეთესო თეატრებში და ეკუთვნის ამხანაგობას

იხატება დეკორაციების ნაწილი და იკერება ტანისამოსი.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი და თანამშრომლები.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

ა ნ ო ნ ს ი: მზად. წარმოსადგ. ხუთშაბათს, 16 აპრილს ბენეფისი დასის რწმუნებულის და ადმინისრატორის ვასო ურუშაძისა.

---

## გაფრთხილება.

### ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქუთაისში

ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს, რომ გაზეთებში გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ ზოგიერთი თესლის გამყიდველები სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხახლში. ამისათვის გასული წლების მსგავსად წელსაც **ხ. ხრისტოდულიდის** მიუცილებელ საჭიროდ გვცანით, რომ თესლის მეიდგულნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას—გარეთ კოლოფს აქვს იარლიკი ქართული წარწერით (თეთრ ქაღალდზე) და ასვია „შტემპელი“, აწერია „ს/ს. გოკიელოვის შ—ბი“, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის „შტემპელი“ რუსულ-ქართული წარწერით „ხ. ხრისტოდულიდისის“ და ს/ს გოკიელოვის შ—ბის“, აქვე დასმულია ლუქით ბეჭედი, რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ კოლოფს ირგვლივ შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

## თესლის გაყიდვა გძელდება.

---

ელექტრო-თეატრი „რ ა დ ი უ მ ი.

პარასკევს, 10 აპრილიდან, მარტო სამ დღეს ახალი პროგრამით ნაჩვენები იქნება:

### პ ა ტ ე ჟ უ რ ნ ა ლ ი

უკანასკნელი ცნობა.

სენსაცია! სენსაცია!

### არსებობა არსებობისთვის.

გულის მომწველი დრამა 3 ნაწილათ. უმთავრეს როლს შეასრულებს ქუთაისის საზოგ. მიერ პატივცემული და საყვარელი მსახიობი ჟენია პორტენი.

### სიყვარულისთვის დასჯა

ძლიერ კომიკური სურათია.

დასაწყისი საღამოს $6^1/_2$ საათზე. ფასები ჩვეულებრივია

ანონსი: ორშაბათიდან ნაჩვენები იქნება: 2 სერია საშკა სემინარისტი. დრამა 5 ნაწილათ.

---

## ქუთაისის საზოგადო საკრებულო.

შაბათს, 11 აპრილს, 1915 წელს, შესდგება

მუსიკალურ-ვოკალურ-ლიტერატურული

## ს ა ღ ა მ ო

მომქმედ ჯარის მეომრების სასარგებლოთ.

დარბაზი მორთული იქნება ინჟინერ ფრიკის ხელმძღვანელობით.

ცოცხალი სურათები, ვოდევილი (რუს. ენაზე) ბოშათა რომანსები და სხ.

### შესვლის ფასი 1-დან 3 მანეთამდე.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. დაწვრილებით პროგრამებში.

საღამოს გამგე ელენე ნიკოლოზის ასული ჩიქოვანისა.

---

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

**ვისაც სურს** შეიძინოს კარგი ღირსებისა და ბევრი აბრეშუმის თესლი უნდა მიმართოს ნიკოლოზ ბურასს მთელს სპარსეთში, კავკასიასა და თურქესტანში ცნობილ ფირმას. თესლი შემოწმებულია მიკროსკოპიული საშუალებით „პასტერის“ სისტემით და წონით 6 მისხ. თითოეული კოლოფი.

ვ ი მ ე დ ო ვ ნ ე ბ, რომ ბ.ბ. მყიდველები დარჩებიან სრული კმაყოფილი, თუ უკეთუ შეიძენენ ამ ფირმის თესლს.

ფასები ზომიერია.

იყიდება ნარდათ და ნაწილათაც. მისამართი: მიხეილის ქუჩა

### მმ. ადამიდის მაღაზიაში, ქუთაისში.

პატივისცემით ნიკოლოზ ბურასი.

10—4—149.

---

გამოვიდა და იყიდება

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

### თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ფასი 60 კაპ. წ.

---

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ ნ. ს. ჯორჯიკიას შემდეგი რუსული წიგნი:

### „Критика психологической теоріи права“

Проф. Л. І. Петражицкаго. ფასი 6 შაური თ.

---

**კბილის მენალარიშრილი და ტრუფაექიმები. ნოვა.** დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

**ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

# ო მ ი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

### ალმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 8 აპრილი. ზავისლიანის რაიონში სრული სიწყნარეა, რომელსაც ხანდახან არტილერიის ცეცხლი თუ არღვევს ხოლმე. მტრის ქვეითი ჯარი გასასქდომ ტყვიებს ისვრის. გალიციაში, მდ. დუნაეცის რაიონში, ჩვენი მზვერავები მხნეთ განაგრძობენ თავის მოქმედებას, ავიწროებენ მტრის მზვერავებს და ატყვევებენ მათ. ჩვენი არტილერიის მოხერხებულმა მოქმედებამ მტრის ორი ბატალიონი გაფანტა, რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მოიწევდა. მეზოლაბორის გზით ამ დღეებში მტერმა არა ერთჯერ მოიტანა კონტრიერიში იმ მიზნით, რომ ტელეპოჩთან და პოლენთან ჩვენ მიერ დაჭერილი სიმაღლეები წაერთმია, მაგრამ ჩვენი თოფის ცეცხლითა და სახელდახელო ყუმბარებით ადვილათ იქნა მოგერებული. ჩვენი ჯარის ზოგმა ნაწილებმა მტრები ახლო მიუშვეს, მერე ხიშტით შეუტიეს და უკუაქციეს. ავსტრიელების ერთი ბატალიონი თავისი აფიცრებით იძულებული გახდა იარაღი დაეყარა. კოზიუვკის რაიონში მტრის წინააღმდეგობამ უკიდურესობამდი მიაღწია... აქ გაჩაღებული იყო ბრძოლა 901 მეტ. სიმაღლის ასაღებათ. საღამოს ექვს საათზე ეს სიმაღლე მტერმა დაიჭირა, მაგრამ ჩვენმა ჯარმა რვა საათზე ისევ უკან დაიბრუნა. ამ ბრძოლის დროს ერთი აფიცერი და 60 ჯარის კაცი დავატყვევეთ, სამი ტყვიისა და ერთი ნაღმის მტყორცნელი ვიხელთეთ.

**პეტროგრადი.** 8 აპრილი. ოფიციალური. მთავარსარდლის შტაბისაგან. დასავლეთ გალიციაში, გორლიცესთან, 7 აპრილს, ღამით ავსტრიელების იერიში მოვიგერიეთ. კარპატებზე, 6 აპრილს, მტერმა ჩვენს პოზიციებზე იერიში მოიტანა, რომელიც ზემო იაბლონისა და პოლენას რაიონში ოროშ-პატოკადან ჩრდილოეთით მდებარეობს. პოლენასთან იმ სიმაღლეზე, რომელიც ჩვენ დავიჭირეთ, მტერმა არაჩვეულებრივი თავგანწირვით მოიტანა იერიში. მტრის ზარალი დიდია. 500 ჯარის კაცი დავატყვევეთ. სხვა ადგილებში მდგომარეობა უცვლელია. გერმანელების ჰაეროპლანების მთელმა რაზმმა 7 აპრილს, ბელოსტოკს ასამდი ყუმბარა ესროლა. — ქალაქის მცხოვრებთა შორის არიან დაჭრილებიც და დახოცილებიც. ქალაქისთვის დიდი ზიანი არ მიუყენებიათ. 7 აპრილს, ღამით, ქალ. ცეხანოვს ცეპელინმა ყუმბარები დაუშინა, თუმცა ზიანი არ მიუყენებია. ჩვენმა ელიმურომცებმა სოლდაუს ყუმბარები დაუშინეს.

**ბელოსტოკი.** 8 აპრილი. 7 აპრილს, დილით, ბელოსტოკზე ერთდროულათ გერმანელების 10 ჰაეროპლანი გამოჩნდა, რომელმაც ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში 100 ყუმბარა ჩამოაგდო. დახოცილთა რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის. ბევრ ადგილას ცეცხლი გაჩნდა.

### ოსმალეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 8 აპრილი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. კავკასიის ჯარის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

პეტროგრადი. 8 აპრილი. ბოროტ პირთაგან ცრუ ხმების გავრცელების გამო, ვითომ ოსმალებს სოფელი ოლთი დაეჭიროსთ, საყოველთაოთ ვაცხადებთ, რომ ოლთიცა და ართვინიც და მთელი ამ პუნქტების შუა მდებარე ადგილი ჩვენს ხელშია.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### სურსათის საკითხი გერმანიაში.

ბერლინიდან ცნობაა—გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა შეიძინოს დიძალი კარტოფილი და დაურიგოს ღარიბ მცხოვრებლებს.

— —

გერმანიის ცეპელინები განაგრძობენ ინგლისზე თავდასხმას.

— —

შავზღვაზე რუსების ნაღმოსნები ხელახლათ თავს დაესხენ ანატოლიის ნაპირებს და ერეგლში, კოზლუსა და ზუნგულდაკში ოთხი ორთქლმავალი გაანადგურეს. მათ რიცხვში ორი ქვანახშირით იყო დატვირთული. ამასთანავე დაღუპეს რამდენიმე იალქნიანი გემიც.

— —

„სტანდარტის“ ცნობით, 1 აპრილს ვენის მთავრობამ განკარგულება გამოსცა, რომლის ძალითაც სიკვდილით დაისჯება ყველა ის, ვინც ვენის გარშემო მდებარე ტყის მდელოებს მიუახლოვდება.

— —

### სპარსეთ-ოსმალეთის კონფლიქტი.

ოსმალებმა სერპული დაიკავეს. რუსეთისა და ინგლისის ელჩები კერმანშახში გადასახლდენ ხოლო რუსეთისა და ინგლისის ბანკისგან ყოფილები ხამადიანს გადაიტანეს. ოსმალეთის ელჩსა და თეირანის კაბინეტის შუა მოლაპარაკება გრძელდება. ელჩს იმედი აქვს საზღვარზე მომხდარი ინციდენტი გამწვავებას არ გამოიწვევს მუსულმანთა ორ სახელმწიფოს შორისო.

### გერმანიის ამანათების დაკავება.

„ტრიბუნა“ იუწყება, რომ ამერიკაში გერმანიიდან გაგზავნილი რამდენიმე ათასი საფოშტო ამანათი, კაისსოში დაიჭირეს და ამანათებს უკაანვე დააბრუნებენ, რადგანაც ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს განზრახვა აქვთ დააკავონ იტალის ყველა გემი, რომელზეც აღმოჩნდება საქონელი და საფოსტო ამანათები, რომელიც ამერიკაში მცხოვრებ გერმანელების სახელზე იქნება გაგზავნილიო.

— —

ბუქარესტში ავსტრიიდან მოსული მგზავრები გადმოგვცემენ, რომ ავსტრიელები თავის სატახტო ქალაქებს—ვენასა და ბუდაპეშტს საჩქაროთ ამაგრებენო.

მოელიან რუსის ჯარის შესვლას კარპატების გადალახვის შემდეგ.

— —

ავსტრიის პრესა საჩქაროთ ზავის ჩამოგდებას თხოულობს.

„ნეიე ფრეიე პრესსე“-ს მოყავს რა პაპისა და ვილსონის წინადადებანი ზავის ჩამოგდების შესახებ, ამბობს: ეს ორი მოლვაწე პირი სამუდამოთ სანაქებო სახელს მოიხვეჭენ, თუ შეეცდებიან და ბოლოს მოუღებენ ამ უმაგალითო და უსარგებლო, შემაძრწუნებელ სისხლის ღვრასაო.

— —

სამხედრო სამინისტრომ იტალიაში კომუნალურ საბჭოს აცნობა, რომ, თუ მობილიზაცია მოხდა, ჯარი სასწავლებლების შენობებს დაიკავებსო.

— —

ვაშინგტონიდან ცნობაა—გერმანიამ ამ მიმდინარე ომის დროს დაკარგა სულ 1,750,000 კაციო. ავსტრიელების ზარალი გაცილებით მეტია, ვიდრე გერმანელების.

---

## ბელგია და მუშათა პარტია.

პაწია ბელგია ერთ დროს კეკლუცი და მაღალ კულტურული, სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო, დღეს გერმანიის მიერ დაპყრობილ ქვეყნათ ითვლება; მისი გერმანიასთან შეერთება, ანექსია „პანგერმანისტებს“ აუცილებელ ბუნებრივ საქმეთ მიაჩნდათ: ამას სხვათა შორის იმითაც ასაბუთებენ, რომ ბელგიის მცხოვრებთა ერთი ნაწილი არსებითად გერმანელთაგან არც კი განსხვავდებაო. პანგერმანული პრესა ამტკიცებს, რომ თითქო „ფლამანდიელნი“ დიდათ განსხვავდებიან „ვალონებისაგან“; პირველნი მისი აზრით, ნამდვილი გერმანელებია, რომლებიც დღემდი ვალონების მორჩილების ქვეშ იყვენ და დღეს მხოლოდ გერმანიის ადმინისტრაციის მეოხებით გათავისუფლდენ მათი მონობის უღლისგანო. სხვანაირათ რომ ვსთქვათ, პანგერმანისტები ასე მსჯელობენ:

დავიპყარით ქვეყანა, რომელიც ჩვენი მონათესავე ხალხით არის დასახლებული, მაშასადამე, სრული უფლება გვაქვს ეს ტერიტორია ჩვენს სახელმწიფოს შეუერთოთო აქ, როგორც ხედავთ, ორი პრინციპია წამოყენებული: დაპყრობისა და ერთგვარობის. არსებული საერთაშორისო უფლებით პირველიც საკმაოა იმისთვის, რომ რომელიმე გამარჯვებულმა მეომარმა სახელმწიფომ დაპყრობილი ტერიტორია შეიერთოს; ასე იყო დღემდის, მაგრამ დღეს თითქო ამ პრინციპს აღარ ჯერდებიან და „პატარა ერების“ გულის მოსაგებათ მეორეც წამოაყენეს. ახლა ამბობენ: არა, დაპყრობა მარტო საკმაო არაა, შემოერთებისთვის საჭიროა ერთგვარტომობა და ნათესაობაო. განა ასე არ მსჯელობენ გალიციის შესახებაც? მაშ გერმანიამ რაღა დააშავა, რომ მან არ ისარგებლოს ასეთივე საბუთებით და ბელგია შემოერთებულათ არ გამოაცხადოს?! ასედაც მოიქცევ და ამის წინააღმდეგ არც ერთ მეომარს და არც ნეიტრალურ სახელმწიფოს არაფერი ეთქმის, ვერც იტყვიან, რადგან ისინიც იმავე პრინციპეზის მაღიარებელნი არიან, რომელთა ძალითაც გერმანიამ ბელგია შეიერთა.

მაშ, ბელგია თუ ისევ ძალით არ გამოგლიჯეს ხელიდან გერმანიას და ძალითვე არ გაათავისუფლეს (როგორც ამას მართლაც ცდილობს ინგლისი), ისე სხვა საბუთი აღარ ყოფილა, სხვა მოსარჩლე მას აღარ ყოლია!

არა, მას ყავს მოსარჩლე და ძლიერი მოსარჩლეც. მისი ნამდვილი დამცველი გერმანიაშივე აღმოჩნდა, რომელმაც ბელგიის ანექსიის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა და მის დამოუკიდებლობის დაცვას ცდილობს. ეს არის გერმანიის მუშათა პარტია. მისმა ცენტრალურმა ორგანომ „ფორვერსმა“ სასტიკი პროტესტი განაცხადა ბელგიის ანექსიის წინააღმდეგ და ამ კითხვის გამო პანგერმანულ პრესას საფუძვლიანი პოლემიკა გაუმართა.

„ფორვერსი“ პანგერმანისტების წინააღმდეგ ამტკიცებს, რომ ბელგიის ხალხი სწორეთ დღეს, ამ საზარელ ომიანობის დროს უფრო ერთობრივ ძალას წარმოადგენს, ვიდრე ოდესმეო. ამასთან ფლამანდიელების კავშირი, გერმანელებთან, ამბობს გაზეთი, ნამდვილათ მეტაც სუსტია და უშედეგოო. ასე მსჯელობს და იბრძვის ბელგიის სასარგებლოთ გერმანიის მუშათა პარტია; ასეთივე თანაგრძნობით და სოლიდარობით არის გამსჭვალული ბელგიის ხალხისადმი ინგლისის მუშათა პარტიაც. ამას გვიმტკიცებს „ინგლისის მუშათა პარტიის“ 27 წევრის მიმართვა ბელგიისა და საფრანგეთის მუშათადმი, რომელიც ამ დღეებში მოთავსებული იყო ინგლისურსა და ფრანგულ გაზეთებში. აი ეს მიმართვა:

„ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, საზოგადოებათა პალატის წევრნი—სწორედ ისინი—გიცხადებთ ჩვენს გულითად თანაგრძნობას თქვენ, ბელგიელ და ფრანგ ამხანაგებს და გისურვებთ, რომ სრული გამარჯვებით დაგვირგვინებულიყო თქვენი გმირული ბრძოლა..... გვაოცებს და თან აღტაცებაში მოვყავართ თქვენს ესოდენ სიმტკიცეს და სიმამაცეს, რასაც თქვენ ისეთს საშინელ სასტიკ მტერთან იჩენთ ხოლმე. ჩვენს გრძნობებს თქვენდამი იზიარებს დიდი ბრიტანიის მუშათა ორგანიზაციების მასა..... გრწამდესთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ სულითა და გულით, მთელი ჩვენი არსებით თქვენთანა ვართ, რომ ჩვენც თქვენსავით გვრწამს, რომ ბოლოს თქვენ გაიმარჯვებთ და ამით ქვეყნის დამღუპველ მილიტარიზმს სამუდამოთ ბოლო მოეღება“!

ამ მიმართვაზე ხელს აწერენ მუშათა დეპუტატები, რომელთა შორისაც „დამოუკიდებელ მუშათა პარტიის“ ლიდერები არა ჩანან. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მიმართვა მათი აზრის სრული გამომხატველი არაა და შეიძლება მათ პოზიციას ის ბევრშიაც ეწინააღმდეგება.

მაგრამ აქ არა თუ მარტო მუშათა საერთო თანაგრძნობაა ბელგიისადმი—არამედ მუშათა კლასის ბელგიის დამოუკიდებლობისათვის თავგამოდებაც აშკარაა

დ—ელი.

---

## ბათომის კომენდანტის განკარგულება.

„ბატუმსკი დენ“-ის ოფიციალურ განყოფილებაში დაბეჭდილია შემდეგი განცხადება:

„ამით ვაუწყებ მახაჯდოვის ციხის რაიონის მცხოვრებთ, რომ ჩემი მიერ ნება დაერთო ყველა იმ მამრობითი სქესის პირთ, რომელნიც ომიანობის გამო გადასახლებული იყვნენ და ამ ჟამად ცხოვრობენ ხსენებულ რაიონის გარეშე, დროებით დაბრუნდნენ თავიანთ სოფლებში ყანების დასათესად და შესამუშავებლად.

ქვემო და ზემო-აჭარის საოლქო ნაწილთა და აგრეთვე ართვინის ოლქის მცხოვრებთ, რომლებიც ომიანობის გამო იძულებულნი იყვნენ გახიზნულიყვნენ ოლქის სხვა ნაწილებში, ნებას ვაძლევ დაბრუნდნენ თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში, იმ პირობით, რომ მათ სოფლებში დაბრუნებისათანავე აცნობონ ქვემდებარე ნაწილის უფროსს, რომლისგან ისინი ვალდებულნი არიან მიიღონ სოფლებში საცხოვრებლის უფლების მოწმობა.

კერძოდ გონიის ნაწილის მცხოვრებთ მოუწოდებ მომმართონ პირადად მე თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებისათვის ნებართვის მისაღებად თხოვნებით. ასეთი თხოვნები სადერბო ხარჯების გაუწევლად უნდა წარმომიდგინონ საკუთარს კანცელარიაში, ჩემზე გადმოსაცემად.

**კომენდანტი მიხაილოვის ციხისა და დრ. გენერალ-გუბერნატორი ბათომის ოლქისა გენერალ-მაიორი ლ.**

1 აპრილი 1915 წ. ქ. ბათომი.

---

## კოოპერატიული დაწესებულებების შესახებ.

ერთ წერილში, სახელდობრ: „ალყა შემორტყმული გერმანია“, ბ-ნი დ—ელი სხვათა შორის სწერს:

„...თავისი განვითარებული ტეხნიკის მეოხებით (გერმანიამ) სპილენძის ნაკლებობაც არ დაიმჩნია. გამალებით შეუდგა ელექტრონის გამოყვანილი მავთულების უსპილენძოთ მზადებას და იზოლიატორებ[illegible] [illegible]ნას.

თბილი ტანი[illegible] [illegible] ძველი გაზეთის ქაღალდისაგან გააკეთა.

ბამბა ჩვეულებრივი ქაღალდისაგან შექმნა.

სპირტი შაქრიდამ გამოხადა.

სასაქმებელი ზეთიდამ სამთელი და მაშინის ზეთი გამოიყვანა.

ყამირი მიწები და ხელოვნურად დამშრალი ჭაობები დაამუშავა და ზედ პური და კარტოფილი დასთესა... აგრე უზარმაზარი ქარხნები, სადაც ელექტრონის საშუალებით ჰაერიდამ ჰკრეფს „აზოტს“, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მიწის გასასუქებლად და ასაფეთქებელ მასალის დასამზადებლად...

(იხ. „სამშობლო“ № 50).

შეადარეთ ეს ზღაპრული სინამდვილე, ჩვენს ბედოვლათობას, უვიცობას, ბაქიობას, სიტრაბახეს, ენის ქავილს, უაზრო განგაშს და დაინახავთ ჩვენ უსუსურობას, ჩვენს ბავშობას...

თუ ვინმე რამე „გააკეთა“ ჩვეში ან ფიქრობს „გაკეთებას“ ეს გამოიხატება მხოლოდ ერთმანეთის გაუტანლობის სფეროში, გულღვარძლიან დაცინვის გაბატონებაში, შურისა და გესლის გაფართოებაში და ფანატიზმის გაღმერთებაში.

ამითი ვამაყობთ, ამითი ვფიქრობთ ქვეყნის ხსნასა და წარმატებას. მაგრამ ვაი რომ ამგვარი მეცნიერების ხელში ჩვენი უმეცრება დაუძლეველი რჩება. სადაა ეს სამოქმედოდ გაწვრთნილი ხალხი?.. სადაა ეს მომზადებული და გათვითცნობიერებული ელემენტი?..

ნუთუ მთელი ჩვენი მოქმედება უაზრო შეხლა-შემოხლაში და ჟინით გამოწვეულ პოლემიკაში უნდა გამოიხატებოდეს და მთელი ჩვენი ენერგია ამ ბაქიობაზე იხარჯებოდეს?..

მაშ თუ ეს ასე არ არის, მაჩვენეთ თქვენი სასწაული, მაჩვენეთ თქვენი აღზრდილი ხალხი, რომელიც სათანადო შეგნებით უკქეროდეს თუნდ ისეთს აუცილებელს და მისთვის დიდად სასარგებლო საქმეს როგორც კოოპერატიულ დაწესებულებას? მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ასე არ არის?

ამისი ერთი მაგალითთაგანი არის „პროგრესის“ ცუდი ბედი, რომელზედაც დღეს ასე ცოცხლათ აღიძრა ლაპარაკი.

ჩვენი კოოპერატიული დაწესებულებანი იბადებიან, ადრე სნეულდებიან და სურმშივე სამუდამოდ ხელიდამ გვეცლებიან.

ასე დაემართა „პროგრესსაც“. მას, მართალია, ჰქონდა ნაკლი, ნაკლი თვალსაჩინო ორგანიზაციული, შიგნითვე დაბუდებული, მაგრამ მთავარი მიზეზი მისი უდროოდ დაღუპვისა გარედამ დაუხმარებლობაში, ჩვენი თანაგრძნობის უარისყოფაში გამოიხატება...

მე მოგახსენეთ, რომ „პროგრესს“

---

## გიორგი მესამე.

დრამატიული ეტიუდი 4 მოქმედებათ. თავ. თ-დ. გიორგი მიხეილის ძის შარვაშიძისა.

შემდეგი იხილე „სამშობლო“ 51-ე №

**გაბრიელი.** ბატონებო, ერთი სამწუხარო ამბავი უნდა მოგახსენოთ.

**იოანე.** აბა?

**გაბრიელი.** ეს როქის სპისა დარაჯნი, რომელთაც გზა ჰქონიათ შეკრული, გამოგზავნილი ყოფილან მეფის ბრძანებით.

**ჯაყელი.** რა მიზეზია?

**გაბრიელი.** მოგახსენებთ: მეფეს ამ დილას გადაუცია ამირ სპასალარობა საროქის მხარგრძელისთვის და სპა გამოუგზავრებია, რომ უფლისწული, ბატონი იოანე და თქვენ, სამნივე დაგატყვევონ და კიდეც...

**იოანე.** და კიდეც რაო?

**გაბრიელი.** თქვენს მტერს.

**ჯაყელი.** რაო? სთქვი, ბერო, ნუ გეშინია, გული არ შეგვიწუხდება.

**გაბრიელი.** თქვენს მტერს: თავები უნდა დაგკვეთონო!

**იოანე.** თავები დაგკვეთონო? ჯერ, რომ აგრე ადვილად თავმოსაკვეთნი არა ვართ და მერე... როგორღაც ზღაპარსა ჰგავს ეს ამბავი შენ; საიდან შეიტყვე გაბრიელ?

**გაბრიელი.** აქ მობრძანდით, ბატონო! (გაიხმობს განზე) აქ რომ ერთ კაცს ველაპარაკებოდი, გლახაკია მეთქი, ის გახლდა შალვა ჯაყელი.

**იოანე,** შალვა?

**გაბრიელი.** დიახ, შალვას გაუგია ყოველი ესე, რაც მოგახსენეთ და გამოქცეულა ჩვენთან შესატყობინებლად, მაგრამ გთხოვთ კი, მამა მისს არ უთხრათ, რომ შალვა იყოვო... თორემ მხედრებს გამომადევნებს დასაჭერად, აღარ გამიშვებსო და მეფის განდგომა კი არ შემიძლიანო (იოანე დაფიქრდება).

**ჯაყელი.** რაზედა ჰფიქრობ იოანე დაღონებულად?
აწ რაღას იტყვი? ჰგავს არ მოგწონს მეფისაგან სრულად
ესრეთი შენზე რისხვა დიდი და შეძულება!
არ მოელოდი? საუცხოვო ჰქმნა განკარგულება.
თუ ეგებ გიკვირს შენ გიორგი ხელმწიფისაგან
თავადობისა დამხობა და ჰქონებისაგან
განყენება, თავის კვეთა და ყოველგვარი
ბრაზიანობა, ქცევა უშნო და შესაზარი!
ეჰე, ბატონო! მაშ შენ გეგონა, რომ მოგიცდიდა,
მანამდი, სანამ შენ ქეიფი მოგივიდოდა,
შეუდგებოდი შენი აღთქმის აღსრულებასა?!
მეფე გიორგიმ ეს ამბავი კარგათ იცოდა,
რომ მომაკვდავის მის ძმის წინა სახარებასა
შენ დაეფიცე, რომ ძე მისი შენი გაზდილი,
მოწიფულობას ავა ტახტზე თავის მამისა;
განა არ იცის გიორგიმ, რომ ფიც გატეხილი
ორბელიანი არ ყოფილა არა ჟამისა?
ვიცოდი, რომ დროს გაქცეულსა ვერ მოესწრები
ასრე გინდოდა და ახლაც აბა ნუ ეჩქარები.

**იოანე.** ჩემს გვიანობას არაფერი წაუხდენია,
და თუ კი საქმე დაგვეხლართა, ბრალი შენია!
უდროოდ დროსა ლაპარაკით, ბევრე მოხდება.
გუშინ დარბაზში ოც კაცამდე გარეშე იხდენ
შენის თაობით სულ ყველანი ამ საგანს სჯიდენ.
აი ეს არის მიზეზი, თუ საქმე წახდება.

**ჯაყელი.** დიახაც ვსაჯეთ, მაგრამ მერე ნაცვლად იმისა,
რომ საქმისათვის სწრაფლად ხელი ჩვენ მოგვეკიდნა,
წამოვეხეტენით აქ ანაზდათ წინაშე მეფის,
რომ მის ღვლარჯში თავნი თვითონ ჩვენ ჩაგვეკიდნა.

**დემნა.** რადგანაც ვიცი, ჩემთვის არის სულ ეს ამბავი,
გთხოვთ ნურასა იქმთ, არად მიღირს მე დიდად თავი!
ინსანსა წავალ, იქ მეფესა მე ვეჩვენები
და მის ნებასა ყოველივეს დავემონები.
თუ მეფე განსჯის უმჯობესად თავი მომკვეთოს,
ნება მისია; მე კია უარს ვყოფ ამა სამეფოს.

**იოანე.** დემნა, დემნა! ისევ მოჰყვე ძველსა ამბავსა?

**დემნა.** დიახ უარს ვყოფ! მეფე ჯერ არს ამპარტავანი
და თუნდაც იყოს სხვა კაცზე ის უარესი,
უნდა ფიქრობდეს, რომ მას არ ჰგავს ადამიანი.
ხოლო მე არ მაქვს ხასიათად სულაც ეს წესი.

**იოანე.** შენი სიტყვები შვილო, არ არს კაცთ საგულისხმო,
როდესაც ბედმან ალგირჩია, შენ იყავ უხმო,
შენ ჰკადნიერობ, არ ხარ მონა ღვთისა ნებისა,
რომელმანცა შენ დაგბადა, შვილად მეფისა!!
სიბერის დღეს მამამბუძეს, ნუ გამიმწარებ,
მაგვარ სიტყვებსა კვალად ჩემს ყურს ნუ გააგონებ.

(იოანე გავლ-გამოივლის და დაბალის მხით ეტყვის ბერს).

დაარიგე რამ მეცნიერად გაბრიელ შენა,
იხმარე მაზე, რაც ღონე გაქვს, შენი გავლენა.

(გაბრიელი დემნასთან მივა; იოანე ლიპარიტს ემუსაითება).

ლიპარიტ კარგად ყური დამიგდე, დრო არა გვაქვს დასაკარგავი. გასწიე ახლავ მოუსვენებლად ადერბეიჯანის ათაბეგთან; ძველი მეგობრობა გვიძლვის მე და მამა მისს. უთხარი თუ კი აგონდება ის მოყვრობა, ლაშქარი მომაშველოს. გარემოება ყოველივე აუხსენი და ჩვენ ჯარს ველოდებით ლორის ციხეში. ოჯახობას მანამდი სამშვილდეს გავგზავნი და გავამაგრებთ. გასწი, არ დააგვიანო. (გადის)

**კვირიკე.** ყველამ იცის შენი დიდი ხნის ერთგულება ჩემდამო და შენ სიტყვას ენდობიან. (წინ წამოდგება ერთი მხლებელთაგანი). წადი ჩქარა გაგილთან ერეთს, უთხარი ჩემი გაჭირვება, უთხარი დღეისათვის მინდა მეგობრობათქო. სთხოვე, დაუყონებლივ სპა გამოგზავნოს. ხომ ხედავ წერილის დაწერის დროც არა გვაქვს; წადი ჩქარა.

(კვირიკე თავს დაუკრავს და გადის. იოანე და ჯაყელი ჩუმად დაიწყებენ ლაპარაკს).

**გაბრიელი.** (დემნას). კაცთ კანონები და ბუნების ერთი არ არის,
გაუჩენიხართ თქვენ უფალსა უცხო გუნებით.
მაგრამ თქვენა ხართ შთამოგებით დიდისა გვარის
და ვერ დაარღვევთ რაცა ქმნილა ცხოვრების ნებით.
და ახლა კიდეც, რომ დაადგეთ სხვა რამე აზრსა,
თქვენს მოხუცს გამზდელს გადაჰკიდებთ მომავალს ზარსა.
ამით ჩაუშლით მას აღთქმასა და ოცნებისა
და ვერ მოიგებთ თქვენც სიმშვიდეს, გულის ნებასა.
უსაშველოთ, უფლისწულო, მე დამიჯერეთ
და სვესა თქვენსა მომავალსა დეე, დაემონეთ.

**დემნა.** ამისთვის იყო აგრე მწვრთვნიდი, ჩემო ოსტატო?
გულს შთამინერგე სხვა გრძნობათა მე ნეტარება.
ახლა კი ცდილობ, სოფლის გეგმა მე დამიხატო
და ამაშიაც გინდა ჩემი გავიმარჯვება?
მაგრამ რაღა ვქნა, ამ ორთ საგანთ შეზავებასა
თუ ვერ ვახერხებ! ვინაიდან მაქვს მე ერთი სული.
პირველ გვასწავებს სიმაღლესა, გონების შვებას
და მეორე კი ზნელის მცნებით არის მოცული.
მე შევცქერი ცას, მოწმენდილსა, ვარსკვლავიანსა
და მიწაზედა მცენარს, ყვავილს, მთებსა ტყიანსა;
ველზედ საღამოს, მეჰკურება დამტკბობი ცვარი!
ბედნიერი ვარ მხოლოდ ამით, ამათ შევხარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა თავისი შინაგანი ნაკლულევანება. დიაღ, ჰქონდა და ამ გარემოებას შემდეგისთვის მაინც უნდა მიექცეს ყურადღება. აი ეს თვალსაჩინო ნაკლიც:

ერთ პაწია მაღაზიაში ექვსი-შვიდი კაცი ტრიალებდა. საქმე-კი სულ ორი-სამი კაცის თუ იქნებოდა. რამდენადაც ვიცი, ჯამაგირები ყველას საკმაოდ დიდი ჰქონდათ. საქონელს მეორე-მესამე ხელიდამ ყიდულობდნენ და, რაც უფრო საყურადღებოა, საბაკალეინო და გასტრონომიული საქმის რიგიანი მცოდნე მთელს მაღაზიაში არ მოიპოებოდა. სულ სხვა დარგის და ხელობის მუშაკებს შეეყარათ აქ თავი. ეს ჩემის შეხედულებით დიდი შეცდომა არის. საბაკალეინო საქმე და მით უმეტეს საგასტრონომიო მეტის მეტათ რთული საქმეა.

აქ ბევრი სხვადასხვა საქონელი იყრის თავს, ყველა ამის თავის გართმევა გამოუცნობელი კაცისათვის ადვილი არაა. ამიტომაც მაღაზიაში ყველანი ფუსფუსებდნენ და ხელიდამ-კი არაფერი გამოუდიოდათ. შრომა ბევრი იყო, ნაყოფი მცირედი. დიდ სავაჭროში ნამყოფი გაწვრთნილი ორი ნოქარი მეტს გააკეთებდა, ვიდრე მთელი მაღაზიის შემადგენლობა. ამას გარდა, ვაჭრობისათვის მეტიქეობის გაწევისთვის, საქონლის პირდაპირ, მწარმოებლისგან გამოწერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ამას პირველი ადგილი ეკუთვნის ყველა სერიოზულ სავაჭრო დაწესებულებაში. ადგილობრივი ნაყიდი საქონელი, რაც უნდა დიდ ფირმისაგან შეიძინოთ იგი, საერთოდ ნაკლებ ხელსაყრელია, რადგანაც არ შეიძლება გაჭარბა იმ ფასებში დაგითმოთ საქონელი, რომ შემდეგ თქვენვე შესძლოთ მისი კონკურენციის გაწევა!... ეს, ვგონებ, ძნელი გამოსაცნობი არ არის... ააცილეთ, ბატონებო, ამგვარ დაწესებულებას ეს შინაგანი ნაკლი, რადგანაც უამისოდაც მას ჩვენში წინ ბევრი დაბრკოლება ელობება.

**ჯაფარ ფაშა.**

# ახალი ამბავი.

გუშინ დილის მატარებლით თფილისიდან დაბრუნდა ქუთაისის ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა სისუფთავის დასაცავათ განკარგულება მოახდინა, ყველა რესტორანებისა და საჭმელის დასამზადებელ დუქნებისპატრონებმა იქონიონ პირის საბანი საპნითა და პირსახოცით, რომლითაც მიმსვლელები ისარგებლებენ.

✦ ქუთაისის გუბერნიის სამართველომ ქალაქის თვითმართველობას წინადადება მისცა, გაიყვანოს დახურული თხრილი რკინის გზის სადგურიდან ბალახვნის ქუჩამდი.

✦ ხვალ, 11 აპრილს, საზოგადო საკრებულოს დარბაზში გაიმართება სალიტერატურო სამუსიკო და ვოკალური საღამო, ჯარში მომქმედ მეომართა სასარგებლოთ, საღამოს დასასრულ გაიმართება ცეკვა და ლოტო.

✦ 9 აპრილს, ღამით, მიხეილის ქუჩაზე ცეცხლი წაეკიდა ანტონ ალ. კოშენკოს ხის სახლს. მქრობელმა რაზმა დროზე მიუსწრო და გადაარჩინა. ზარალი 1200 მანეთს აღემატება.

✦ როგორც ს. გელათიდან გვწერენ, იქაური მცხოვრებლები უხიდობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან. ხიდი აგერ ერთი წელიწადია, რაც მდ. წყალწითელამ წაიღო, მაგრამ ჯერ ყურადღებას არავინ აქცევს. იმერეთის ეპისკოპოსმა ამის შესახებ შუამდგომლობა ბ. გუბერნატორთან უკვე აღძრა.

ეპისკოპოსის კანცელარიის შენობის რემონტს ამ დღეებში დაასრულებენ. შენობა უწინდელზე შედარებით ბევრათ დიდი ზომისაა.

✦ ბაზრის მეთვალყურემ ი. გელოვანმა მწვანე ბაზარში ოქმი შეუყენა ყასაპ ტარასი ჯიჯიაძეს ხორცის ნიხრის დარღვევისათვის.

✦ ხვალ, 11 აპრილს, ოლქის სასამართლო გაარჩევს ანტონ კუცის, ანასტასია ნიქობაძის, ალ. ხვედელიძის ორ საქმეს და ვლად. კვანტალიანის საქმეს.

✦ ქალაქის საბჭოს კრება შესდგება ორშაბათს, 13 აპრილს.

✦ კვირას, 12 აპრილს, მოხდება ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოების წლიური კრება.

✦ ქუთაისის გუბერნიის მევენახობისა და მეღვინობის უფროსი სპეციალისტი კ. ბერეკაშვილი გაემგზავრა გუშინ, 9 აპრილს, ქარეის უბნის ამერიკული ვაზის საჩქოლეში დასათვალიერებლათ. იქიდან გურიაში დაათვალიერებს საჩვენებელ ვენახებს.

✦ 8 აპრილს, სოხუმის ოლქში მცხოვრებ, მემედ ალი ხურშუტ ჩედიკოღლზე თავდასხმის გამო, ქუთ. საოლქო სასამართლომ რვა-რვა წლის კატორღა მიუსაჯა: შაშან მამსირიძე ბარციცის, ალხაზ აგრიჯის ძე აგირბას, ჯაგონატი (იგივე დანიელ) დოუტოვ ამპარს და კიშ (იგივე გერასი) ამჯისძეს ჩაგვავას. ესენი ბრალდებულნი იყვნენ 1629—1602 სისხლის სამართლის მუხლის ძალით.

ამავე სასამართლომ 12 წლის კატორღა მიუსაჯა ვასილ კვინტალიანს. გენერალ პავლე კალინინის გაძარცვის გამო.

ის გაასამართლეს 1629—1632 სისხლის სამართლის ძალით.

✦ დ. ზესტაფონში, როგორც სხვაგან ვაჭრების თავგასულობას საზღვარი არ უდევს. გირვანქა შაქარი აქ ხუთ შაურათ იყიდება, მარილი— 6—8 კაპ., საპონი—ხუთ შაურათ და სხ.

ასევე ფასაწეულია სოფლიდან შემოსული სანოვაგეც. გირვანქა ხახვი 2 შაურათ იყიდება, კაპუსტო—3 შაურათ.

## თეატრი.

ბ. ვალ. შალიკაშვილის ავათმყოფობის გამო გუშინ, 9 აპრილს, დანიშნული წარმოდგენა დილიდანვე გადადებულათ გამოაცხადეს. წარმოდგენის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

—

ქ-ნ ქრ. შარაშიძის და ბ. დ. მარგველაშვილის ლექცია შესდგება ქალაქის თეატრში კვირა დილით, 12 საათზე. ადგილების ფასები სახალხოა.

## მოწერილი ამბავი.

**თავდასხმა.** მარტის პირველ რიცხვებში ფრიად სამწუხარო ამბავი მოხდა სოფ. ქვიშან-ჰალაში: ვიღაც ბოროტ-გამზრახველნი თავს დაესხნენ დიდათ პატივცემულ ივ. ნეს. ლორთქიფანიძის ოჯახს.

ბ-ნი ივანე ავსტრიის საზღვარზე არის სამხედრო ექიმათ; სახლში ყავს ცოლი, დედა, მამიდა და ორიოდე მოსამსახურე; ეს ის ივანეა, რომელსაც კარგათ იცნობს ჩვენი საზოგადოება და უფრო სტუდენტობა, რომელთა შორისაც, დიდი პატივი და სიყვარული აქვს დამსახურებული, როგორც ნიჭიერ ახალგაზდას და საყვარელ პიროვნებას. ნათქვამია: მსგავსი მსგავსა შობსო, და ეს თქმულება სწორედ ამ ივანეზეა ასრულებული: მისი მშობლები კეთილი, სითნო და პატიოსანი ადამიანები არიან და შვილიც იგივეა. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთაც არავითარი წმინდა გრძნობა—სინიდისი ჭარ, აბადიათ, არივისი დინდობა არ იციან; ასეთი ნაძირალები ამ სოფელშიც არიან და თავიანთი ვერაგობა, სწორედ ამ პატიოსან ოჯახზე მოიხმარეს...

სიმინდით მოვაჭრე კვარაცხელია, (სახელი არ მახსოვს) ლორთქიფანიძას მოურავს ნეს. ხურცილავას მორიგებია და სამასიოდე ფუთი სიმინდი დაუბევებია; დანიშნულ დღეს კვარაცხელიაც ჩამოსულა, ნავების დატვირთვა დაუწყია, მაგრამ, რადგან ღამეს მოუსწრია, ლორთქიფანიძისას გაჩერებულა ღამის გასათევათ: შუაღამის ჟამს ვიღაცას კარებზე დაუკაკუნებია და კვარაცხელია მოუთხოვია; მათ გამოხმაურებია ივანეს ცოლი, ქ-ი მეგი, და ამ დროს ყაჩაღებსაც თოფები გაუმართავთ ოთახისკენ; ქალს თავზარი დასცემია და კივილით ლოგინზე ჩაკეცილა, ხოლო კვარაცხელია ამ დროს კარებთან ყოფილა და როგორც კი ყაჩაღებს მოუკრავს თვალი, ბერდანიდან გაუსვრიათ სწორედ იმ ადგილს, სადაც კვარაცხელია იდგა, მარა საბედნიეროთ ტყვია აცდენია; ყაჩაღებს კიდევ რამდენჯერმე გაუსვრიათ, მაგრამ, რადგან კარი ჩაკეტილი აღმოჩნდა, უკანვე გაქცეულან. ამის გამო ეჭვი მიიტანეს ერთს მახლობელ მეზობელზე, რომელიც თითქოს კარის-კაცობდა ყაჩაღებს და რამდენიმე დღით დააპატიმრეს კიდეც, მაგრამ ის ისევ გამოუშვიათ. როგორც ამბობენ, ამ კაცს ჩვენებები ძირითადათ შეშლია და, ნეტა რატომ?..

თუ ამ შემთხვევამ ჩაილულის წყალში ჩაიყურყუმელავა, დიდათ სამწუხარო იქნება, ვინაიდან, ვინც ასეთი ოჯახი არ დაინდო, ის სხვას სულ არ დაინდობს, მით უფრო, თუ ძირის-კაცი ამ სოფელშივე სუფევს. **ნ.**

## ჩვენებური უმადურობა.

ახირებული ხასიათის ხალხი ვართ ჩვენ ქართველები: თუ ვისმე დაებადა სურვილი, გამოიჩინა უნარი და რომელსამე საზოგადო საქმეს ხელი მოკიდა, მაშინვე ზოგიერთი ჩვენთაგანი თანაგრძნობისა და წაქეზების მაგიერ დაცინვასა და გასამართლებას დაუწყებს, რა უნდა ვითომ ამით, რომ გამოხტა და მეტიჩრობა დაიწყოვო; თან შურიანი თვალით შესჩერებია იმ პიროვნების შრომას და ნატრობს მალე ბოლო მოეღოს ახალს დაწყებულ საქმეს, რათა შემდეგ ინიციატორს ყიჟინა და ხარხარი დააყაროს.

ამ ერთი თვის წინად გაზ. „სამშობლოში“ მოვათავსე წერილი „ქართული გალობა ქუთაისის საკრებულო ტაძარში“, რომელშიაც საყვედური გამოვსთქვი იმის შესახებ, რომ შარშან შესდგა მამა რაჟდენ ხუნდაძის ლოტბარობით 12 კაცისაგან ქართული გალობის მოყვარულთა გუნდი, რომელმაც ქუთაისის საკრებულო ტაძარში რამდენჯერმე დაატკბო მლოცველთა სმენა ძველებურს იმერულ კილოზე ქართული სამხმოვანი გალობით; არ გასულა დიდი ხანი და ეს გუნდი დაიშალა. როდესაც გამოვკითხე გუნდის წევრთ მიზეზი, მითხრეს, რეპეტიციის დროს ხშირად აკლდებოდნო, თუ ლოტბარს ვთხოვეთ ფ. ქორიძის ნოტებზე გვეგალობა და იწყინაო, თუ სხვა... ახლა „სამშობლოს“ 47 ნუმერში ვკითხულობ დე—ზის წერილს ქართული გალობის შესახებ, რომელშიაც აშკარად სჩანს უმადურობა ამ გუნდისადმი. ბ. დ—ზი თავის წერილში მოგვითხრობს რა საზოგადოთ ქართული გალობის ისტორიას და იმის ჩამოქვეითების დღევანდელი ამბავს, გამოსთქვამს სურვილს, რომ იგი მეცნიერულად დამუშავდეს, გათხმაკდეს და დაატკბოს ჩვენი სმენა ისე, როგორც ატკბობენ კარგად გამართული კონცერტები, წინაღმდეგ შემთხვევაში სამხმოვანი გალობის მოსმენა არ ღირს, რადგან „რაღაც წუწუნსა, ყვავყორნის ჩხავილს და მომაკვდავი კაცის ხრიალს“ მოგვაგონებს და, ვიდრე ასე გამშვენიერდებოდეს ქართული გალობა, სჯობს ხმა არ ამოვიღოთ და ისევ უცხო გალობა მოვისმინოთ, რადგან უფრო ატკბობს სმენასაო. ჩინებული აზრია, მაგრამ ვინ იჩენს უნარს, ვინ მოკიდებს ხელს, რომ დღევანდელი „ჩვენი მკვდარი“, როგორც ავტორი უწოდებს ჩვენს გალობას, გააცოცხლოს, გადაახალისოს, გააევროპიელოს და გაამშვენიეროს!? ან მანამდი როგორ მოვიქცეთ, რაც გვაქვს, ისიც გავაგდოთ ხელიდან და დავკარგოთ!? ეს იმას გავს კაცმა ფლავი ვერ იშოვოს და ლობიოც დაიწუნოს, ან და,—ვიდრე ახალი ქუდის საყიდელ ფულს იშოვიდეს, ძველი ქუდი მოიძროს და გადააგდოს. ეს შემცდარი აზრია, ჩვენი ახირებულობისა და ჟინიანობის ნაყოფია. „ჰრელ წირვაზე წერით და ხუნდაძის მგალობელთა გუნდზე მოთქმით ფონს ვერ გავალთო, ცარიელი სიტყვაო“, ასე ათავებს თავის წერილს ბ. დე—ზი. მე კი დავუმატებ, რომ არც მარტო სურვილის გამოთქმით, გემოვნების ამჟავებით და ფართო ოცნებებით შეიძლება ფონს გასვლა და საქმის განხორციელება, არამედ საჭიროა ინიციატივა და საქმის მოწყობა, რაც უნდა მიიღოს თავის თავზე ტაძრის კრებულმა გალობის მცოდნე, მოყვარულმა პირმადა, დღევანდელი „წუწუნის“ ნაცვლად, უნდა გაგვაგონოს „გუგუნი, მერმე შეგვიძლია დავწიხლოთ რაჟდენ ხუნდაძე და აღარ მოვისმინოთ იმის სამხმოვანი გალობა.

ალბათ მამა რაჟდენი ამ გვარმა უმადურმა სიტყვებმა და ასეთი ეპიტეტებით შემკობამ აიძულა უსასყიდლო შრომისათვის თავი დაენებებია, თორემ რა იყო მიზეზი, რომ გუნდი შეადგინა, საქმე მოაწყო და მაშინვე თავი მიანება?! მე კი, ჩემი მხრით, არ შემიძლია ეჭვი არ ავიღო თვითონ ტაძრის კრებულის რომელსამე წევრზე და მას არ მივაწერო გუნდის დაშლის მიზეზი.

ვსთხოვთ მამა რაჟდენ ხუნდაძეს—თვითონ გამოამჟღავნოს, რაში იყო საქმე.

**ლადო ბზვანელი.**

## თავნება პედაგოგები.

(წერილი ხონიდან).

ამას წინათ ფოშტაში ყოფნის დროს მოწამე შევიქენი ამ მასწავლებლის უზრდელი საქციელისა. მასწავლებელი ო-სკი გაბრაზებული უყვიროდა ფოშტის განყოფილების უფროსს ღრმად პატივცემულს იოსებ მესხს. ხალხის წინაშე მესხს აგინებდა ქუჩური სიტყვებით, ურცხვათ და თანაც ემუქრებოდა: დიდი ხანია სამსახურისთვის თავი უნდა დაგენებებინა და ახლა მაინც მოგიახლოვდა იმ დღის ჟამიო... ნი ეს საქციელი ლორწოვანო და სხვ. მასწავლებელი, აღმზრდელი მოზარდი თაობისა და ასეთი უწმაწური სიტყვები, როგორ მოგწონს მკითხველო!

ო-სკის ამ მოქმედებაში გამოსჭვივის გარდა მისი უზრდელობისა და სალი პედაგოგიური აზრის შეუგნებლობისა,

მოახლოვდა შენი სამსახურიდან გასვლის დღეო. ასეთი დიდი გული არ ექნება და ასე რიხიანათ ვერ დაიწყებს ლაპარაკს,

ეტყობა, ო-სკი ბატონია არა მარტო სამოსწავლო უწყებაში, არამედ ფოშტა-ტელეგრაფის განყოფილებაშიც კი. მას იმედი აქვს, რომ გაუვა და მიტომ ყვირის ასე ხმამაღლათ. მესხი არამკითხე ვაჟბატონს ყოჩაღათ დახვდა და ოქმი შეუყენა, რაც გაგზავნა კიდეც ოლქში.

ამგვარია ზრდილობა ბ-ნი ო-სკისა და ის ამგვარ ზრდილობას სხვაგანაც ხშირად იჩენს ასეთი მაგალითის მიმცემ მასწავლებლის შემდეგ რა ზრდილობა უნდა ჰქონდეს მის მოწაფეებს. სამწუხარო, სამწუხარო, რომ მოზარდი თაობა ამგვარი ხალხის ხელში იზრდება.

ვაჟთა გიმნაზიაში ამ დღეებში მოხდა ერთი, მაგრამ ამ სკოლის პედაგოგების საუკეთესოდ დამახასიათებელი ამბავი. გიმნაზიის დირექტორი სხვაგან წავიდა და მის მაგიერათ დასტოვა მასწავლებელი ლ—სკი.

ამ დღეს ერთი მოწაფე სწავლაში უნდა გამოეცადათ. მასწავლებლები ო—სკი და ც—ვი მოვიდენ თავის დროზე. ბევრი იცადეს, მაგრამ დირექტორის მაგიერი ლ—სკი არსად არ სჩანდა. დააწყებინეს ბავშს მოთხრობა. ამ დროს მოვარდა ლ—სკიც. ლ—სკი სასტიკად გაბრაზდა, დაიწყო ყვირილი, არ მოერიდა მოწაფის თანდასწრებას და მასწავლებლებს უდიერათ შეეხო. ესეც არ იკმარა და აიღო მოწაფის დაწერილი რვეული და მასწავლებლებს თავზე გადაახია.

ყველაფერი კარგი, მაგრამ მოწაფე აქ რა შუაშია, რომ აგრე დაისაჯა და ერთხელ გაწეული შრომა ხელმეორეთ მოსთხოვეს, და ესეც რომ არ იყოს, ლ—სკი ნუთუ იმდენათ უვიცია პედაგოგიკაში, რომ არ ესმის მოწაფის თანდასწრებით მასწავლებლის ასე გალანძღვას რა დამღუპველი გავლენა აქვს მოწაფეზე.

ვერაფერი შვილი პედაგოგები ყოფილან ქალთა მარიამის სკოლაშიც, სადაც მესამე განყოფილების მოწაფეები დილიდან საღამოს ხუთ საათამდი უჭმელი გააჩერეს. რა მოაგონდებოდათ საბრალო ბავშებს, როდესაც სიმშილი აწუხებდათ. განა ასეთ პირობებში ბავშების გამოცდა მათი ცოდნის გამომჩენი იქნება? ეს დალოცვილებიც პედაგოგები ბრძანდებიან და ბავშის ფსიხოლოგიის ცოტა რამე მაინც უნდა იცოდენ. დანარჩენებზე სხვა დროს.

**გ. ხონელი.**

## საზოგადოებისადმი.

ამ ახლო წარსულში ქართ. კულტ. მოყ. საზოგადოებამ დამავალა აკაკის ვრცელი ბიოგრაფიის შედგენა. კარგა ხნის მოფიქრების შემდეგ, ვიკისრე ეს მძიმე საქმე სისრულეში მოვიყვანო, მაგრამ ერთის პირობით კი: თუ თვით საზოგადოება შემიწყობს ხელს. მოგეხსენებათ, თუ ჩვენი ინტელიგენციის ზრდისა, განვითარებისა თუ ჩვენი სოციალური ცხოვრების ისტორია მეტხრამეტე საუკ. რა მძიმე ნაბიჯით მიდის შესწავლის მხრით. დღესაც, როდესაც ამდენი ჟურნალ-გაზეთობა გვაქვს და ინტელიგენტი ძალები მრავლად შეგვეძინენ, ჩვენ მხოლოდ მომზადების ხანაში ვართ და ველით ძლიერ პიროვნების გამოჩენას, რომელიც შესძლებს ამ გარდამავალი ხანის შესწავლას, გაცხრილვას და მეცნიერების ახალი მეთოდით გაშუქებას. თქმა არ უნდა, აკაკის ბიოგრაფიაც და მის თხზულებათა სწორი გარჩევაც

---

აბა რად მინდა ამ სოფლისა სხვა რამ დიდება,
მძაგს ბოროტება და მლიქვნური მისი კირთება!

**გაბრიელ.** უფლისწულო!

**დემნა.** (არ აცლის).

დიახ, უარს ვყოფ, მე არა მსურს ათასი სული,
ჩემივ მზგავსი ადამიანი, ჰყონ შეწირული
იმისათვის, რომ დამსვან ტახტზე სამეფოისა
და იმავ ტახტზე პორფირითა მე პირმშოისა,
ვით ავაზაკი განვირეკდე სულთ განწირულთა,
რომელნიც ჩემსა სინიდისსა დაეხვევიან,
როგორც ყორნები მყრალთა მძოვრთა ველად გდებულთა
და მწეწდენ ცოცხლად! არ ვიცოდე მე რასა ჰქვიან
არც დღით, არც ღამით მოსვენება ჩემის გულისა...
წყეულიმც იყოს ის უფლება უფლისწულისა!

**იოანე.** შვილო, შენ ამბობ, რასაცა გრძნობს უმანკო სული,
გამოუცდელი, გუშინდელი დაბადებული.
ჯერ არ გქონია ცხოვრებისა მოვალეობა,
უკულმართობის მისისა რამ მჭუნვარება!
შენ არ გახსოვს მამაშენი, მირონ-ცხებული,
მისის დროისა მოგონებით არ გეწვის გული,
მე კი აჰრდილი დიდებული სულ მელანდება,
და ყოველივე დაკარგული წარმომიდგება.
მე მინდერძა სიკვდილის ჟამს მისი წადილი,
მე მომაბარა საიმედო შენ მისი შვილი,
ორთავეს გრზდიდით, ერთსა გულში, მეორეს გულზე
და თქვენი დარდი ოც წელიწადს მეწერა შუბლზე.
აწ მოიღწია იგი ჟამი დღემდი ძლეული
და ზეციდამა მეძახის მე ხმა კურთხეული!
ახლა შენ გინდა ზრუნვა ჩემი ოცისა წლისა,
ღამეთა ტეხა, ფიქრით ტანჯვა, ჯვარზედა ფიცი
სულ გამიქარწყლო ოცნებით რამ ყმაწვილისა?
ეგ არა შვილო! არა ღონე ქვეყნად არ ვიცი,
აწ წინ დაუდგეს ჩემსა წმინდა მოვალეობას.
ნებითა ღვთისა, მე შევიძლებ, სიმართლესა ვყოფ
და უკანონოთ, მოპარულსა დღემდი მძლეობას
ავაგლეჯ გვირგვინს და ქვეყნის წინ მტვერში დავამხობ.

(შემოდის ლიპარიტ).

**ჯაყელი.** ეგ შენი დაბრუნება კარგს არას ნიშნავს ლიპარიტ.

**ლიპარიტ.** კარგი რა უნდა იყოს? დიდი ძალი სპისა უკან ყოფილა, კინაღამ ჩაუვარდი ხელში! რას გაჩერებულხართ, ბატონო, თავს უშველეთ ჩქარა!

**იოანე** (მხლებლებს) ცხენები მალე!

**ჯაყელი.** ცხენები, ცხენები! (მხლებლები გარბიან).

**ლიპარიტ.** (გასვლას აპირებს) მაშ ლორის ციხეში, იოანე?

**იოანე.** დიახ.! ლორის ციხეში. (მიდიან ყველანი) ფრთხილად იყავი ლიპარიტ. კაცები წაიყვანე.

**უგ. თ. გ. შარვაშიძე.**

**ფარდა.**

სავაჭრო სახლი
ძმ. კუზანოვების
ქუთაისში.

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ცნობილი აბრეშუმის თესლის ფირმის „ეკონომიდის“, ამით აუწყებს მეაბრეშუმეებს, რომ თესლი უკვე მივიღეთ და ვყიდით ხელსაყრელ ფასებში, პარტიობით და წვრილად.

სატრფო საგზრი საბადღენო და კოლონ. საქონლის
ტ. ლ. ბასილაძე და ა. მ. პილასონია
ქუთაისში, მიხაილოვის ქ.

თესლი შემოწმებულია თფილისის საბრეშუმო სადგურის მიერ. მიაქციეთ ყურადღება კოლოფზე თეთრ ბანდეროლს. 15—13

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ მოხდება. მანამდე კი ჩვენ შეგვიძლია მასალების კლასიფიკაცია მოვახდინოთ. ეს კი არც ისე ადვილია. აკაკის ბიოგრაფია, მის თხზულებათა ქრონოლოგიურად გარჩევა—ეს მთელი მეცხრამეტე საუკ. მეორე ნახევრის აღწერილობა იქნება, ვინაიდან აკაკი და ხსენებული ხანა ურთი-ერთის ეკვივალენტები არიან. ყველა ეს მოითხოვს დიდ დროს და მეტად ფრთხილ მუშაობას. ამიტომ მივმართავ ყველას, დამეხმარონ ამ მძიმე საქმეში. აკაკის თანამედროვეთა ყოველი რჩევა, მიწერ-მოწერა, საბუთები დიდის მადლობით იქნება მიღებული და შემდეგ დანომრილი გადაეცემა ქართ. ეთნოგრ. საზოგადოებას, ან და იქ, სადაც ავტორნი მიმითითებენ. ყოველგვარი მასალა გამოიგზავნება „კლდის“ რედაქციაში ჩემს სახელზე, გაბაანთ შესახვევი, № 3.

პატივისცემით **დავით კასრაძე**.

P. S. უმორჩილესად ვთხოვ ქართულ ჟურნალ-გაზეთობას და „ნოვ. ზაკ“-ს ეს ეს წერილი უცვლელად გადაბეჭდონ.

**დ. კ.**

## ფოთის ამ-ბავი.

კვირას, 5 აპრილს, ფოთის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა კრება ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრებისა. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: ხარჯთაღრიცხვა 1915 წლისა, არჩევნები ერთი დირექტორისა და გამგეობის სამი წევრისა და სხვა წვრილი კითხვები. კრებამ ერთხმად თავჯდომარეთ აირჩია ნ. ი. ნიკოლაძე, მდივნათ კ. ი. მიქაბერიძე. თავჯდომარემ კრების გახსნამდი საზოგადოებას მოკლე სიტყვით განუმარტა და დაუხასიათა ახლად გარდაცვალებულთა აკაკისა და ვარლამ გელოვანის პიროვნება, მათი ღვაწლი და შრომა სამშობლოს წინაშე და წინადადება მისცა კრებას მათი ხსოვნისათვის ფეხზე ადგომით პატივი ეცათ. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულთა ხსოვნას. ამის შემდეგ კრება გაიხსნა ღ შეუდგენ საკითხების გარჩევას.

როგორც გამგეობის მიერ წამოყენებული ანგარიშიდან გამოირკვა, საზოგადოებას 1914 წელში წმინდა მოგება დარჩენია 2610 მანეთი. კრებამ 1915 წლის ხარჯთაღრიცხვა დაამტკიცა, შემდეგ აირჩიეს ერთხმად: დირექტორად—ა. ი. ხოჭოლავა, გამგეობის წევრებათ: ნ. ი. ნიკოლაძე, კ. ი. გაბუნია და ბ. ი. მამალაძე. რის შემდეგაც კრება დაიხურა.

კვირასვე, 5 ამ თვეს, ფოთს ეწვია წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბ-ნი ლლონტი, რომელმაც რევიზია გაუკეთა აქაურ წვრილი კრედიტის ბანკს. ბ. ინსპექტორმა ყველაფერი რიგზე ნახა და გამგეობას საქმის კარგათ წარმოებისათვის მადლობა გადაუხადა.

დრამატიული საზოგადოება აპირებს 23 ამ თვეს აკაკის საღამოს გამართვას: წაკითხული იქნება ლექცია აკაკიზე, ითამაშებენ „ნათელა“-დან. წაკითხული იქნება აგრეთვე სცენები, ნაკვესები და ლექსები, დაიდგმება აპოთეოზი. შემოსავალი გადაიდება ნაწილი აკაკის ფონდისათვის და ნაწილი აჰარლების სასარგებლოთ.

იმედია, ფოთის საზოგადოება ხელს შეუწყობს დრამატიულ საზოგადოების მიზანს და არ დაიზარებს საღამოზე მოსვლას.

მომხმარებელმა საზოგადოებამ „ეკონომია-მ“ გახსნა ფურნე, სადაც მომხმარებელთ შეუძლიათ საუკეთესო ხარისხის პურის შეძენა.

სამეგრელოდან ძლიერ ცუდი ცნობები მოდის: სიმინდის ფასი 7—8 აბაზამდი ადის. ხალხი ჰყიდის, რაც კი აბადია და პურით იკვებება. ჰყიდიან ხარებს და სხვა ცხოველებს. საჭიროა შველა. დასათესი თესლიც კი არ მოეპოვებათ.

ამ ბოლო დროს კარგი ამინდები დაიჭირა.

კვირას მოვიდა ხომალდი, რომელმაც რუსეთიდან მარილი ჩამოგვიტანა.

**ფოთელი.**

## გორის ქალაქის არჩევნები.

31 მარტს, გორის საზოგადო საკრებულოს დარბაზში მოხდა ქალაქის ახალ რწმუნებულთა არჩევნები. საარჩევნო ყრილობას, რომელსაც დაესწრო 187 ამომრჩეველი 189 საარჩევნო ხმით, თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი ზ. ქიტიაშვილი. ყრილობაზე ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფებმა წარმოადგინეს თავიანთი კანდიდატების სიები. დასახელებულთაგან ზოგიერთმა პირმა (მათ შორის ქალაქის მოურავმა ზ. ქიტიაშვილმა და ქალ. მოურავის თანაშემწემ დ. მაჭავარიანმა) კანდიდატობაზე უარი განაცხადეს, ეუთი დაიდგა 26 პირმა, რომელთა შორის აირჩიეს რწმუნებულებად.:

1) ალექსანდრე მელიქიშვილი, ქალაქის მოურავის თანაშემწე (170 თეთრი—19 შავი); 2 დავით ორიაშვილი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე (168 თეთრი—21 შავი); 3) ლუკან გრიგოლაშვილი, ბანკის დირექტორი, ყოფილი გორის ქალაქის მოურავი (164 თეთრი—25 შავი); 4) ალექსანდრე შატუნოვი, ხაზინადარი (160 თეთრი—29 შავი); 5) გიორგი ბეროზაშვილი, მასწავლებელი (159 თეთრი—30 შავი); 6) ნიკოლოზ მდივანი, ხარჯის ინსპექტორი (157 თეთრი—32 შავი; 7) ალექსანდრე ჩუტკერაშვილი, ბანკში მოსამსახურე 146 თეთრი—43 შავი); 8) თავ. ნიკოლოზ თუმანიშვილი, ქალაქის რწმუნებული (140 თეთრი—49 შავი): 9) პარმენ ჯაფარიძე, მასწავლებელი (139 თეთრი—50 შავი); 10) გიორგი გოგიბედაშვილი, ხაზინაში მოსამსახურე (129 თეთრი—60 შავი); 11) თ. მიხეილ ერისთავი, მომრიგებელი მოსამართლე (128 თეთრი—61 შავი); 12) ალექსანდრე ციხითათრიშვილი, ფოსტაში მოსამსახურე (128 თეთრი—61 შავი); 12) ვასილ მუჩაიძე, ვაჭარი 128 თ.—61 შ.) 14) გ. გორქაძე, კალატოზი (126 თ.—63 შავი). 15) ივანე კვალიაშვილი, მეათვთაქე, ქალაქის რწმუნებული 124 თეთრი—65 შავი);

კანდიდატებად არჩეულ იქმნენ:

16) ზ. ინასარიძე, ფერშალი (121 თ. 68 შ); 17) გიორგი კვალიაშვილი, ბანკის დირექტორი (117 თ. 72 შ.); 18) მიხეილ წინამძღვრიშვილი, ექიმი (116 თეთ. 73 შ.) 19) იოსებ ხიტიაშვილი, სახლის პატრონი 114 თ. 75 შ.): 20) მიხეილ კობერიძე, ექიმი (108 თ. 81 შ.); 21) თავ. დიმიტრი ერისთავი, მემამულე (101 თ. 88 შ.): 22) გრიგოლ ბაბალოვი, მასწავლებელი (101 თ. 88 შ.); 23) მირიან ლოლაძე, სახლის პატრონი (100 თ. 89 შ.).

არ იქმნენ ათჩეულნი: 24) ალფრედ შეპფი, მეათვთაქე, ქალაქის რწმუნებული, სასანიტარო და სამშენებლო კომისიების თავმჯდომარე, კანტროლერი გორის ლაზარეთისა (39 თ. 150 შ.); არტემ ჩარუევი, ქალაქის რწმუნებული (79 თ. 110 შ.); 26) მიხეილ ახალბედაშვილი, ქალაქის სამმართველოს მდივანი (91 თეთ. 98 შავი). („ახ. ქართლი“).

## გაგრის ქართველობა.

(შავი ზღვ. გუბ.)

ვისაც ოდნავათ მაინც გადაუხედია ჩვენს წარსულ ჟურნალ-გაზეთებში, მას უეჭველია ეხსომება თუ რა ბედშავ მდგომარეობას განიცდიდა ჩვენში, ორიოდე ქართულ კულტურული დაწესებულება. მართალია, ეს უკანასკნელები არც თუ დღეს არიან იმდენათ მომრავლებული და ეკონომიურათ უზრუნველყოფილი, მაგრამ სასიხარულო ის არის, რომ წინათ, თუ საქართველოს ცენტრ ადგილებში სჭირდა და ხშირათ მეტ ბარგათ მიაჩნდათ მათი დაარსება, დღეს ეროვნულმა თვითშეგნებამ იმდენათ გაიწია, რომ სამშობლოს გარეთ მყოფთათვისაც საგრძნობი შეიქნა კერას მოშორება; სათვისტომო-სამკითხველოების დაარსებით ქართველობა გვერდში ამოუდგა საყვარელ საქართველოს და დროის მიხედვით სანუგეშო და სამხიარულო ჰანგს უერთებს თავის მშობელ ერს.

ბრწყინვალე აკაკის გარდაცვალებით გამოწვეულ ქართველთა ერის საერთო მწუხარებას, არც თუ გაგრაში მყოფი ქართველობა ჩამოურჩა. აკაკის დასაფლავების დღეს გულდათუთქულმა ქართველობამ, პანაშვიდი გადახადა და ხსოვნის აღსანიშნავათ კომისიის არჩევით იქვე ერთხმათ დაადგინეს განსვენებულის სახელზე უფასო წიგნსაცავ—სამკითხველო დაარსონ. ხსენებულ დაწესებულების გახსნის ნება-რთვა თხოვნისათანავე მიღებულ იქნა მის იმპერატორებითი უმაღლესობის პრინც ა. ოლდენბურგისაგან და კომისიაც შეუდგა მოქმედებას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გაგრას მალე ექნება რიგიანი კულტურული დაწესებულება. მით უფრო ეს ადვილი მოსახერხებელია, რომ აქ ადგილობრივ მცხოვრებ ქართველებთან ერთად დღეს შავი ზღვის ნაპირა რკინის გზაზე მომუშავე ქართველობას, საკმაო ძალა შესწევთ და სურვილიც აქვთ გარეშეთა შეუწუხებლათ ორიოდე გროში გამოიღონ და მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ ასეთს სულიერ საუნჯეს.

ხსენებული სამკითხველოს კომისიავე დაევალა ფულის შეგროვება დამწვარ ქართულ თეატრის სასარგებლოთ.

დაზარალებულ აჭარლებთათვის შეწირულობა უკვე მოგროვდა და მალე დანიშნულებისამებრ გაიგზავნება.

დასასრულ არ შემიძლია მადლობა არ გამოვუცხადო ადგილობრივ რკინის გზის მოიჯარადრეს ბ. სპ. ბენდუკიძეს და გ. ქვლივიძეს, რომლებიც, რაც შეიძლება, ხელს უწყობენ, როგორც შეწირულობის მოგროვებას, ისე ყოველივე ეროვნულ-კულტურული და ეკონომიური საქმეების აღორძინებას.

„**იოლა.**“

## ომში დაჭრილი და დაავათმყოფ. ჯარისკაცები.

ბაქოს ქალაქის ლაზარეთში, № 10 იმყოფებიან.

ბუჭიაშვილი გიორგი სოფრომის ძე, ბასილაშვილი ივანე იოსების ძე, ჯაფარიძე სილოვან ტარიელის ძე, კერესელიძე ნესტორ შიოს ძე, მაღარაშვილი დარისპან შიოს ძე, ლაპაშვილი ილია ალექსანდრეს ძე, სანკაშვილი ზაქარია ფრიდონის ძე, სალარიძე ივანე მერაბის ძე და იასოშვილი ვასილი ივანეს ძე.

5 აპრილს სარაყამიშიდან ჩამოიყვანეს და თფილისის გამანაწილებელ საავათ. № 33-ში მოათავსეს.

ნადიბაიძე პავლე გიორგის ძე, დუშ. მაზ. სოფ. ახატანი, მარცხენა ფეხი აქვს დამზრალი. დვალიშვილი ივანე ნიკოს ძე, გორის მაზრა სოფ. ერნეთი, მარჯვენა ფეხი აქვს დაზიანებული. მეგედლიძე ლევან გიორგის ძე, გორის მაზრა სოფ. ფრისი გაცივებულია. ჭერაშვილი კონია ალექსის ძე, თელავის მაზრა სოფ. ყვარელი, გაცივებულია. ჩიტაია იაკობ გოჩას ძე, ზუგდიდის მაზრა სოფ. ახუთი. არჩაია ლაზარე პავლეს ძე, სენაკის მაზრა სოფ. ეკი, გაცივებულია. კოტუა ამბერკი გულაჩოს ძე, სოხ. ოლქი, სოფ. გალი. ცაგურია მაქსიმე პახვალის ძე, სოხ. ოლქი სოფ. ს. ოქუმი. მელიქ შახნაზაროვი ბაგდან კონსტანტინეს ძე, ქ. თფილისი (მოხალისე), გაცივებულია. თოდუა ჩაგუ ივანეს ძე, ქ. ზუგდიდი, ფეხის ტკივილი აქვს.

ქ. როვნოში იმყოფებიან.

დოლიძე დიმიტრი ანტონის ძე, გურია, მკერდში დაჭრილი. გრიგოროვი შუშის მაზრა. ალაჯანოვი მოსეს აიდონის ძე, შუშის მაზრა. ჩაჩანიძე კოლა მიხას ძე, გორის მაზრა სოფ. ცხრამუხა, დაჭრილია მარცხენა მკლავში და მკერდში. მგალობლიშვილი ოზურგეთის მაზ. დაჭრილია ფეხში. მგელაძე ისაკი სოფ. ნიგოითი, დაჭრილია მკლავში. თავართქილაძე სევასტი, გურია, ხელში აქვს ჭრილობა. კოტრიკაძე პარმენ, გურია, ხელშია დაჭრილი. ბუკია ნოე თემურაზის ძე, სოფ. ბუკნარი, გურია, ხელშია დაჭრილი. რამიშვილი ფილიპე ს. სურები, გურია, ხელშია დაჭრილი. ცინცაძე რაფიელ, ჩოხატაურიდან, ხელშია დაჭრილი. სიხარულიძე მილორსი, სოფ. ამაღლება, ფეხში აქვს ჭრილობა. კვაჰანტირაძე ლავრენტი სიმონის ძე, გურია, ტყვეთ არის წაყვანილი. მუხაშავრია ნესტორ კონსტანტინეს ძე, ს. ბუკნარი, გურია, ტყვეთ წაყვანილია. ძიძიშვილი კასიანე, გურია, ტყვეთ არის წაყვანილი. ვასაძე ქრისტეფორე, გურია, ტყვეთ არის წაყვანილი. გიორგაძე ივანე, გურია, ტყვეთ წაიყვანეს. იმნაიშვილი ალექსი, სოფ. ნიგოითი, მოკლულია ბრძოლის ველზე. დურგლიშვილი გიორგი ლექსოს ძე, გორის მაზ. ბერშუეთიდან ორთავ ფეხშია დაჭრილი. ინგოროყვა ავათ არის.

ამ სიის გამომგზავნია, იასონ რაჟდენის ძე სვიმონოვი; და როვნოში ქართველი დაჭრილი ჯარისკაცები გულითად მადლობას უძღვნიან ოქრო სიმონის ძეს ლაცაბიძეს, რომელიც უგზავნის „თანამედროვე აზრს“.

დაჭრილია პრაპორშჩიკი კოსტანტინე თუმანიშვილი, (იმყოფება ვილნოში).

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

თქვენი გაზეთის № 42-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა ს. ბახვიდან: „ზოგიერთ მოინტელიგენტო ვაჟბატონს კარტ-ნარდის თამაშისთვის ჯერ კიდევ ვერ დაუნებებია თავი. სამწუხარო ისაა, რომ ასეთი თამაშობა სოფლის ორკლასიანი შკოლის ერთ-ერთ ოთახში სწარმოებს, რაც არ ეპატიება შკოლის ზედამხედველს“... არ ვიცი რამდენად მართალია ამ ცნობის პირველი ნახევარი, მაგრამ რაც შეეხება შკოლაში კარტ-ნარდის თამაშს, უნდა მოგახსენოთ, რომ ის განგებ შეთხზული ჭორია. ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ არასოდეს ბახვის ორკლასიანი შკოლის შენობაში ადგილი არ ჰქონებია ასეთ შემთხვევას, მე, როგორც ამ შკოლის მზრუნველი-მეთვალყურე,—სამედიატორო სასამართლოში ვიწვევ ბ-ნ კორესპონდენტს, რომელმაც თქვენ გაზეთს ასეთი ცნობა მიაწოდა: ამით მე მინდა აღვადგინო უსამართლოდ შელახული პრესტიჟი ამ შკოლის ზედამხედველის, ბ-ნ გრ. დოლიძისა, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, არასოდეს არ დაუშვებდა კარტ-ნარდის თამაშს შკოლის შენობაში. მედიატორებათ ჩემის მხრივ ვასახელებ ბ.ბ. ალექსანდრე მგელაძეს და მიხა საბაშვილს. მედიატორების არჩევის ვადას ვაძლევ ერთ კვირას დღიდან ამის დაბეჭდვისა.*)

ბახვის ორკლასიანი შკოლის მზრუნველი
**იაგორ ალექსის ძე ჭელიძე.**

*) რედაქცია თავის კორესპონდენტს ენდობა და ვწუხვართ, თუ მან შეცდომაში შეგვიყვანა.
**რედ.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის
„ძმათა პასხალიდის“
აბრეშუმის თესლი
უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში
ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;
ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში და ახალსენაკში ილია იაკიმიდის მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.
თ. 69.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.
კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო საკანცელარიო ნივთები.
— კატალოგები უფასოთ — თ.

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.
1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 к.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Цѣлебные минеральные источники“—ფ. 10 კ.

აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.
1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ი. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემი პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.